

EaPGREEN

Partnership for Environment and Growth



Programme carried out with the financial assistance of the European Union

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) პრაქტიკული გამოყენება საქართველოში ნარჩენების მართვის სექტორში

SEA ტრენინგი-სემინარი 2: ეფექტური შეფასება, შემსუბუქება და მონიტორინგი

2015 წლის 21-22 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



EaPGREEN

Partnership for Environment and Growth



Programme carried out with the financial assistance of the European Union

შემსუბუქების/რეაგირების ღონისძიებების განსაზღვრა და მონიტორინგის სქემის შემუშავება: გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეფექტური წვლილის შეტანისათვის მზადება

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)
საერთაშორისო კონსულტანტები SEA-ს საკითხებში:

დოქტორი მათა გაჩეჩილაძე - ბოჟესკუ
ბ-ნი მიქალ მუსილი



რეაგირების ღონისძიებები

დაგეგმილი აქტივობების/პროექტების დიზაინთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

- დიზაინის შემუშავებისას გასათვალისწინებელი სპეციფიურ საკითხებსა და ალტერნატივებთან დაკავშირებული რეკომენდაციები,
- აღნიშნული აქტივობებისათვის მომავალში განსახორციელებელ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციფიური აღწერილობისა და მასშტაბების განსაზღვრა,
- აღნიშნული აქტივობების/პროექტების განხორციელების პირობებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

უწყებათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება შემოთავაზებული გეგმის გვერდით ეფექტებზე სათანადო რეაგირებისათვის.

- აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას, ეკონომიკური საშუალებების უკეთ გამოყენებას ან შემოთავაზებული ინიციატივის გაძლიერებულ აღსრულებას და ადმინისტრაციულ ზედამხედველობას.

უარყოფითი ზეგავლენის ნეიტრალიზების სხვა შემოთავაზებული ინიციატივები.

რეაგირების ღონისძიებები: გარემოსდაცვითი მართვის სისტემა განხორციელებისათვის (1)

პირველადი ტექნიკური დავალებები (ToRs) (ძირითადი საკითხებისა და ალტერნატივების გათვალისწინებით) სამომავლო SEA-ებისათვის - თუ გეგმა ან პროგრამა მოითხოვს ახალი ინიციატივის შემუშავებას

პირველადი ტექნიკური დავალებები (ToRs) (ძირითადი საკითხებისა და ალტერნატივების გათვალისწინებით) სამომავლო გზშ-ებისათვის - თუ გეგმა ან პროგრამა მოითხოვს სპეციფიურ პროექტებს, რომლებიც გზშ-ს საჭიროებს

სახელმძღვანელო ანოტაციები სამომავლო ქმედებების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის - თუ გეგმა ან პროგრამა მოითხოვს სპეციფიურ პროექტებს, რომლებიც გზშ-ს არ საჭიროებს, თუმცა მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია



Programme carried out with the financial assistance of the European Union



UNITED NATIONS
ECONOMIC COMMISSION
FOR EUROPE



UNEP



UNIDO

რეაგირების ღონისძიებები: გარემოსდაცვითი მართვის სისტემა განხორციელებისათვის (2)

რეკომენდაციები სამომავლო ინსტიტუციონალურ მოწყობასთან დაკავშირებით (მაგ., SEA ჯგუფის წევრები უნდა გახდნენ სტრატეგიის/გეგმის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრები)

განხორციელებაზე ზემოქმედების მოსახდენად მეტად მნიშვნელოვანია ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხები

ანგარიშგების & მონიტორინგის სისტემებში SEA-ში განხილული გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა

ქეისი 1:

SEA OP ინტერპრაიზ და ინოვაციებისათვის (OP Enterprise and Innovations (OPEI)) ჩეხეთის რესპუბლიკა

2007-2013

OPEI პროექტების შერჩევის მექანიზმში გამოყენებული იქნა შემდეგი პრინციპები:

- ბონუსი უშუალოდ გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტებისათვის
- ბონუსი წარმოებაში მასალების ინტენსივობი შემცირებისათვის
- ბონუსი ენერჯის მოხმარების შემცირებაზე
- ბონუსი გამონაბოლქვისა და ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე
- ბონუსი პროექტის ძველ საწარმოო ადგილას განთავსებისათვის (მინდვრის ნაცვლად)

OPEI კომპონენტის ფარგლებში (ქვეპროგრამა ეკოინჟინერია) განახლებადი ენერჯის მხარდაჭერასა და ენერჯის დაზოგვაზე ორიენტირების გათვალისწინებით განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- გამონაბოლქვის შემცირების დანახარჯები (CZK/კგ CO2/ წელი)
- დადასტურებული საერთო ენერგოდანაზოგი (ელექტროენერჯია/გათბობა)
- განახლებადი რესურსის ენერგოწარმოების მოცულობის საშუალო რეალური გამოყენება

ქეისი 2: SEA მონტენეგროს 2015-2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმისათვის (NWMP)

დაცვის ღონისძიებები და ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე და
დაცულ ტერიტორიებზე ზეგავლენის შემცირებისათვის

1. ნარჩენების მართვის სისტემაში ნაგავსაყრელებისა და სხვა სათავსოების ადგილმდებარეობის შერჩევას აუცილებელია ამ მიზნებისათვის არსებული დეგრადირებული ადგილების მაქსიმალური გამოყენება.

3. ყოველი ცალკეული ნაგავსაყრელისათვის პროექტის დოკუმენტაციის (გარემოსდაცვითი კვლევები და სხვ.) მომზადებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ჰაბიტატების (ჰაბიტატების რუკა) და დაცული ტერიტორიების (სამომავლო ნატურა 2000-ის საიტების საზღვრები) შესახებ არსებული უკანასკნელი მონაცემებით.

4. აუცილებელია, მოხდეს გზებზე და დაცულ ადგილებზე (ბუნების ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობა), ასევე ტურისტებისათვის მიმზიდველ ადგილებში მიტოვებული ან დაყრილი ნაგვის რეგულარულად გასუფთავებისათვის პროგრამის ინიცირება და დაფინანსება. აღნიშნული აქტივობები უნდა განხორციელდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სკოლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

SEA მონიტორინგი: საკანონმდებლო მოთხოვნები

SEA დირექტივა:

1. გეგმის ან პროგრამის განხორციელების მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზეგავლენის მონიტორინგი
2. სათანადო რეაგირების მოხდენა
3. აუცილებლობის შემთხვევაში მონიტორინგის არსებული ღონისძიებების გამოყენება
4. მონიტორინგის ღონისძიებების საჯაროობა

SEA პროტოკოლი

1. = 1. როგორც ზემოთ + ჯანმრთელობაზე ზეგავლენა
2. = 2. როგორც ზემოთ
3. ჩატარებული მონიტორინგის შედეგების საჯაროობა

SEA-ს ფარგლებში მონიტორინგის ამოცანები

- პროგნოზირებული და რეალური ზეგავლენის შედარება და ამგვარად გეგმის ან პროგრამის განხორციელების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება
- გამოცდილების გაზიარება მომავალში SEAs გაუმჯობესების მიზნით (ანუ, როგორც ხარისხის კონტროლის საშუალება)
- შემოწმება, რომ სრულდება შესაბამისი უწყებების მიერ განსაზღვრული გარემოსდაცვითი პირობები.
- შემოწმება, რომ გეგმა ან პროგრამა შესაბამისად მიმდინარეობს, რეაგირების განსაზღვრული ღონისძიებების გამოყენების ჩათვლით.



Programme carried out with the financial assistance of the European Union



BETTER POLICIES FOR BETTER LIVES



UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE



UNEP



UNIDO

მონიტორინგის ზოგადი მიდგომები

ზეგავლენის მონიტორინგი პროექტის დონეზე

- მონაცემების შეგროვება პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხდება (ნებართვა, ოპერაციების დაწყება, რეგულარული მონიტორინგი - გამონაბოლქვები, ნარჩენები და სხვ.)

ვითარების მონიტორინგი (ზოგადი გარემოსდაცვითი მონიტორინგი)

- გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვება და მისი აღწერა (ცვლილებების ჩათვლით) პროგრამებისა და გეგმებისაგან დამოუკიდებლად



Programme carried out with the financial assistance of the European Union



BETTER POLICIES FOR BETTER LIVES



UNITED NATIONS
ECONOMIC COMMISSION
FOR EUROPE



UNEP



UNIDO

მონიტორინგის ზოგადი მიდგომები

(გაგრძელება)

განხორციელების (მიმდინარეობის) მონიტორინგი

- გეგმით ან პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებისა და ეფექტურობის კონტროლი (მაგ., რეაგირების ღონისძიებები)

ამოცანების/მიზნების შესრულების მონიტორინგი

- გაკონტროლება, სრულდება თუ არა სპეციფიური გარემოსდაცვითი ხარისხობრივი ამოცანები ან გარემოსდაცვითი მიზნები განსაზღვრული ვადების შესაბამისად

კომბინირებული მიდგომები

როგორ მუშავდება SEA მონიტორინგის სქემა?

მონიტორინგი

შეფასება და
მართვა

კომუნიკაცია/
ანგარიშგება

მონიტორინგის სქემის დიზაინი დამოკიდებულია კონკრეტული შეთავაზებული ინიციატივის მასშტაბებსა და შინაარსზე + მონიტორინგის არსებულ შესაძლებლობებზე, ადმინისტრაციულ დონესა და საკანონმდებლო მოთხოვნებზე.

გაითვალისწინეთ:

- მონიტორინგის განსახორციელებელი აქტივობა
- მონიტორინგის ჩატარების პასუხისმგებლობა
- როდის უნდა ჩატარდეს მონიტორინგი (თარიღები & სიხშირე)
- როგორ და რა ფორმატში უნდა მოხდეს შედეგების წარდგენა

მიდგომები და საშუალებები (1/2)

მონიტორინგი დაკავშირებულია გარემოსდაცვით საბაზისო დონესთან, ზეგავლების შეფასებასა და რეაგირების ღონისძიებებზე.

მონიტორინგის სტრუქტურის მაგალითი

SEA ამოცანა	გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება	შემოთავაზებული მონიტორინგი
<p>ფლორისა და ფაუნის დაცვა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელშეწყობა</p>	<p>სანაპირო ზოლის ჰაბიტატის პერმანენტული დანაკარგი სანაპირო დაცვის სქემებისა და მიმდინარე სანაპირო ზოლის შევიწროების გამო</p>	<p>სანაპირო ზოლის ჰაბიტატის დანაკარგებისა და მატების მონიტორინგი შემდეგის გამოყენებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • (წლიურ) წყლის დონეზე დაფუძნებული მოდელირება; • აეროფოტოები (სულ მცირე 5 წლიანი შუალედებით).
	<p>სანაპირო ზოლის ჰაბიტატის შექმნა</p>	<p>გრძელვადიანი მონიტორინგი შემდეგის გამოყენებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • აეროფოტოები • ვეგეტატიური კვლევები • ფრინველებზე დაკვირვებები • ბენტური მაკროუხერხემლოების კვლევები
<p>ისტორიული გარემოს დაცვა</p>	<p>მიწაში ჩაფლული არქეოლოგიური ნიმუშების მიწიდან გამოჩენის ან დაზიანების პოტენციალი</p>	<p>სტრატეგიული მონიტორინგი საჭირო არ არის. დეტალური დიზაინის მომზადებისას განხორციელდება სათანადო არქეოლოგიური შეფასებები და</p>

მიდგომები და საშუალებები (2/2)

მონიტორინგი ეფუძნება ინდიკატორების გამოყენებას, რომლებიც მორგებულია ცალკეულ გამოვლენილ გარემოსდაცვით და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხზე / რეცეპტორზე

ინდიკატორი არის ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც ხდება პროგრესის, ან ამოცანის / ცვლადის (ეკონომიკური, სოციალური, თუ გარემოსდაცვითი) შესრულების გაზომვა.

მაგალითად, **SMART** ინდიკატორები:

ინდიკატორი უნდა იყოს სპეციფიური (specific), გაზომვადი (measurable), ხარჯთეფექტური გზით ხელმისაწვდომი/მიღწევადი (available/achievable in a cost effective way), პროგრამის რელევანტური (relevant for the programme) და დროულად ხელმისაწვდომი (available in a timely manner (SMART)).

მონიტორინგის მაგალითები Midlands WMP SEA

Environmental Receptor	Indicator	Source
Biodiversity, flora and fauna	<ul style="list-style-type: none"> - Proximity of new facilities to designated areas - Area and % of designated habitat damaged due to waste management facilities 	<ul style="list-style-type: none"> -Site EIS/AER/ DoEHLG -Site EIS/otherwise may not be available
Soil/ Landuse	<ul style="list-style-type: none"> - Area of land occupied by ceased and existing waste activities (Total area and greenfield area) - Location of new facilities - Area of land contaminated due to waste activities - Area of contaminated land restored for beneficial use 	<ul style="list-style-type: none"> -AER, Local Authority -AER -Local Authority -Local Authority
Air	<ul style="list-style-type: none"> - Number of licence exceedances for dust and noise - No. of households with a waste collection service - Estimated tonnes of waste uncollected - Amount of energy captured from waste facilities 	<ul style="list-style-type: none"> -AER - Local Authority /AER
Climatic Factors	<ul style="list-style-type: none"> - Estimate of landfill gases (CO₂ and methane) emitted/year from facilities - Tonnes of waste recycled, landfilled and thermally treated 	<ul style="list-style-type: none"> -AER/ Local Authority -Local Authority/ Annual Report/
Transport	<ul style="list-style-type: none"> - No. of waste generated journeys or km travelled - Proximity of waste facilities to centres of population - Amount of waste generated (success of waste minimisation) - No. of households with home composting 	<ul style="list-style-type: none"> -may not be available -Local Authority, CSO -Local Authority -Local Authority



SEA მონიტორინგის სქემის განხორციელება

მონიტორინგის ღონისძიებები არა მხოლოდ უნდა იგეგმებოდეს, არამედ უნდა ხორციელდებოდეს კიდევ!

SEA მონიტორინგის აქტივობები და ანგარიშგება:

- ოპტიმალურად უნდა იყოს ინტეგრირებული გეგმის ან პროგრამის განხორციელების მონიტორინგის ზოგად, ერთიან სქემაში ან/და ასახავდეს აღნიშნული გეგმის შესწორებებს.
- გონივრულად უნდა ეფუძნებოდეს მონიტორინგის არსებულ სქემებს.

ვინ არის პასუხისმგებელი?

- SEA პროტოკოლი & SEA დირექტივა არ განსაზღვრავს, თუ ვინ, როდის, სად ან როგორ უნდა განახორციელოს SEA მონიტორინგი.
- პრაქტიკა:

SEA და გადაწყვეტილების მიღება

გადაწყვეტილების მიღება: გეგმის ან პროგრამის დამტკიცება

SEA უნდა იძლეოდეს ინფორმაციას გადაწყვეტილების მისაღებად და არა თავად წარმოადგენდეს გადაწყვეტილებას!

SEA უნდა აძლევდეს ინფორმაციას გეგმის ან პროგრამის გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზემოქმედების თაობაზე

- გეგმის ან პროგრამის დეველოპერებს
- გადაწყვეტილების მიმღებებს
- საზოგადოებას

...და ამგვარად შეიტანოს წვლილი მიზნების მიღწევასა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.



SEA და გადაწყვეტილებების მიღება: SEA პროტოკოლის მოთხოვნები (1)

მუხლი 11 – გადაწყვეტილება
გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს

- გარემოსდაცვითი ანგარიშის დასკვნები
 - გეგმის ან პროგრამის სხვადასხვა ალტერნატივების უარყოფითი/არასასურველი ზემოქმედების პრევენციის/შემცირების/რეაგირების ღონისძიებების ჩათვლით
- შემდეგი მხარეების მოსაზრებები
 - გარემოსა და ჯანდაცვის შესაბამისი უწყებები
 - კონკრეტული საზოგადოება
 - ნებისმიერი მხარე, რომელიც შეხებაში მოდის ინიციატივასთან

SEA და გადაწყვეტილებების მიღება: SEA პროტოკოლის მოთხოვნები (2)

გეგმის ან პროგრამის დამტკიცების შემდეგ გადაწყვეტილების მიმღებმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს

- გარემოსა და ჯანდაცვის შესაბამის უწყებებს
- საზოგადოებას (და არა კონკრეტულ სეგმენტს)
- ნებისმიერ მხარეს, რომელიც შეხებაში მოდის ინიციატივასთან

გეგმა ან პროგრამა უნდა იყოს ხელმისაწვდომი განცხადებასთან ერთად, რომელშიც:

- შეჯამებულია, თუ როგორ არის ასახული მიღებულ გეგმაში ან პროგრამაში გარემოსა და ჯანდაცვის ასპექტები (გარემოსდაცვითი ანგარიშიდან)
- შეჯამებულია, რამდენად იქნა მასში ასახული მოსაზრებები (უწყებებისა და „შესაბამისი საზოგადოების“)
- შეჯამებულია, თუ რატომ იქნა დამტკიცებული სწორედ აღნიშნული გეგმა ან პროგრამა და არა სხვა განხილული გონივრული ალტერნატივები

SEA და გადაწყვეტილებების მიღება: გადაწყვეტილებების მიმღებებთან კომუნიკაცია

SEA მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა მისი შედეგები ასახულია გადაწყვეტილების მიმღებების მიერ

საბოლოო რეკომენდაციებისათვის გამოიყენეთ გადაწყვეტილებების მიმღებთა ენა

- ზედმეტად ნუ ჩაუღრმავდებით ტექნიკურ დეტალებს
- ორიენტირებულნი იყავით არა პრობლემებზე, არამედ მათი გადაჭრის გზებზე
- ხაზი გაუსვით მდგრადი გადაჭრის გზების პოტენციალს



შეკითხვები? კომენტარები?

გმადლობთ ყურადღებისათვის!

